ახალი განთიადი

„მედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„



„განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ..

2024 წელი 28 ივნისი №6 (8205) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

მოლოცვა პირველკლასელებს

პირველი ივნისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე კასპის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა გასართობი ღონისძიებით აღინიშნა.

ბავშვების გართობაზე იზრუნეს კოსტუმირებულმა ზღაპრის გმირებმა, ასევე მათთვის მოწყობილი იყო სპეციალური გასართობი უფასო ატრაქციონები: სასრიალო, ბატუტი, მხიარული მანქანები, მატარებელი და სხვა.

სადღესასწაულო კონცერტში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელები, კასპის სახელოვნებო სკოლის და კულტურის ცენტრთან არსებული ტანვარჯიშის წრის მოსწავლეები.

გაიმართა სპორტული ღონისძიებები: შეჯიბრი გეზრბენში - 3 000 გრძივ მეტრზე და ფეინთბოლში. გამარჯვებულებს დიპლომები, თასები და მედლები გადაეცათ.

ღონისძიება კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩატარდა.

,,ეროვნული ნაკრების მწვრთნელს კახა მამულაშვილს

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად კასპელ მოჭიდავეებს - სამბოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელს კახა მამულაშვილს და საქართველოს ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში გოდერძი ძებისაშვილს შეხვდნენ.

ივნისში, სერბეთში ვეტერანთა შორის ძიუდოში ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობდა, სადაც კახა მამულაშვილმა დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი და 2024 წლის ევროპის ჩემპიონი გახდა.

შეხვედრები მერიაში

გოდერძი ძებისაშვილმა კი პარიზის ოლიმპიური თამაშების მონაწილის ლიცენზია მოიპოვა.

ვახტანგ მაისურაძემ ორივე სპორტსმენს მადლობა გადაუხადა მიღწევებისთვის, სამომავლო წარმატებები უსურვა და მხარდაჭერა აღუთქვა

არმირებული საფარის მოწყობის სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები გრძელდება.

სოფელ ერთაწმინდაში, 760 გრძივი მეტრი გზის არმირებული ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო. გზაზე უკვე მოწყობილია დამცავი კედელი და დასრულების პროცესშია სანიაღვრე არხის მოწყობა. პარალელურად მიმდინარეობს სასმელი წყლის გაყვანილობის გზიდან არიდების სამუშაოები.

გზაზე დაიგება არმირებული ბეტონის საფარი, რომელიც გააუმჯობესებს ადგილობრივების უსაფრთხო გადაადგილებას. პროექტს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ბესკო" ახორციელებს.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით,,

კასპის მუნიციპალიტეტში "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" პროექტების განხორციელება დაიწყო ზემო ხანდაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კალოუბანში, სასაფლაომდე მისასვლელი გზის ბეტონის საფარის სამუშაოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

პროექტი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომელსაც შპს "27 იანვარი" აწარმოებს.

2024 წელს კასპის მუნიციპალიტეტს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში 950 000 ლარი გამოეყო. თანხა მუნიციპალიტეტის ყველა სოფელზე განაწილდა.

განსახორციელებელი პროექტები მოსახლეობის გადაწყვეტილების საფუძველზე შეირჩა და წლის ბოლომდე დასრულდება.

სასმელი წყლის მიწოდების გასაუმჯობესებლად

კასპის მუნიციპალიტეტის მერია, სოფელ მიქელწყაროს მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, ახალი ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებს ახორციელებს. პროექტი ითვალისწინებს ახალი ჭაბურღილის, 50 მ3 სიდიდის ავზის, საქლორატოროს და შიდა ქსელის მოწყობას.

ჭაბურღილის მოწყობის სამუშაო პროცესს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი გაეცნენ.

პროექტს ახორციელებს შპს "G.SERVICE" რომლის დასრულება უზრუნველყოფს ადგილობრივების სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

ნარჩენების მართვის გაუმჯობესების მიზნით

კასპის მუნიციპალიტეტის მერიას საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დამატებით ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მეორე ნაგავმზიდი გადაეცა.

ნარჩენების მართვის გაუმჯობესების მიზნით კასპის მერიამ 100 ერთეული საყოფაცხოვრებო ნარჩენშემკრები კონტეინერიც შეიძინა.

ზაფხულის პერიოდში მუნიციპალიტეტში იზრდება როგორც მოსახლეობის, ისე ტურისტების რაოდენობა, ახალი ტექნიკა კი ხელს შეუწყობს მოსახლეობის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

რა გვაქვთ?

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები

კასპის მუნიციპალიტეტში უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია და პატარებისთვის სათანადო პირობების შექმნა.

გასულ 2023 წელს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებამ 24-ვე, კასპის ხუთივე და სოფლის 19 საბავშვო ბაღს შეუძინა ავეჯი: საწოლები, კარადები, მაგიდები, სკამები და სხვა.

უმნიშვნელოვანესია ყველა საბავშვო ბაღში საბავშვო სივრცეების - ატრაქციონების მოწყობა. აღნიშნული განხორციელდა მუნიციპალიტეტის 3 სოფელში: სამთავისის, დოესის და აღაიანის საბავშვო ბაღებში.

2023 წელს გაიხსნა სოფელ ზემო ხანდაკის სრულიად რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი.

საქართველოს მთავრობის სხდომაზე 2022 წლის ბოლოს, დაანონსდა საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც სამ ეტაპად ხორციელდება. პირველი ეტაპი 2023 წელს დაიწყო, რომლის ფარგლებშიც კასპის მუნიციპალიტეტში 8 ახალი საბავშვო ბაღის აშენება და ერთის რეაბილიტაცია დაიგეგმა.

ახალი საბავშვო ბაღები შენდება შემდეგ სოფლებში: ახალქალაქში, თვალადში, ქვემო გომში, ფერმაში, ლამისყანაში, ოკამში, მეტეხში და ახალციხეში.

რეაბილიტაცია უტარდება სოფელ თეზის საბავშვო ბაღს.

ბავშვთა გასართობი სივრცეები, გარდა საბავშვო ბაღებისა, ასევე მოეწყო სოფლებშიც.

ჯანდაცვა და სოციალური დახმარება

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამა ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება, ხოლო პროგრამის მუხლების რაოდენობა და ბიუჯეტი ბენეფიციართა მოთხოვნის საფუძველზე ყოველწლიურად მზარდია.

2021 წლის საწყისი ბიუჯეტი 995 000 ლარით განისაზღვრა. 2024 წლის საწყისი ბიუჯეტი კი დღეს 1 300 000 ლარია. ანუ 2021 წლიდან დღემდე 305 000 ლარითაა გაზრდილი.

1 300 000 ლარის ფარგლებში 35 მუხლით მიწოდების სერვისით ისარგებლა 3 500 -ზე მეტმა ბენეფიციარმა და 362 იძულებით გადაადგილებულმა ოჯახმა.

კვირაში 6 დღეს ეკონომიურად შეჭირვებული 80 ბენეფიციარი სარგებლობს უფასო სასადილოს კვებით, არის ბინაზე მომსახურების სერვისი.

საახალწლოდ მარტოხელა მოხუცებს, დედ-მამით ობოლ ბავშვებს და მრავალშვილიან შეჭირვებულ 140 ოჯახს საახალწლო ნობათი გადაეცა.

წლის განმავლობაში მოსახლეობისთვის პერმანენტულად ეწყობოდა უფასო სამედიცინო აქციები თვალის, გულის, სისხლძარღვთა და სხვა დაავადებების.

მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს შპს "სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურთან" - ეხმარება ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას:

გასულ წელს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობას. 2023 წელს ასფალტის საფარი დაიგო ჯანდაცვის ცენტრის და სასწრაფო სამედიცინო დახმარების - 112 - ის შენობების ეზოში.

ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი-ს „სოფლის ექიმი"-ს სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროექტის ფარგლებში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროში ახალი ამბულატორია შენდება.

კულტურა

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია - აღდგენას. კერძოდ, კასპის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია, განახლებული შენობა ხელს შეუწყობს წრეობრივ, თვითშემოქმედი და ინდივიდუალური შემსრულებლების მუშაობას.

რეაბილიტირდა ზემო ხანდაკის მუსიკალური სკოლა, რომელიც არასათანადო პირობების გამო დროებით სხვა შენობაში იყო განთავსებული. დღეს ბავშვებს მეცადინეობა კეთილმოწყობილ შენობაში უწევთ.

წლის განმავლობაში ჩატარებული კულტურული ღონისძიებები:

ტრადიციული ქართული სამოსის ეროვნული დღე;

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე 1 ივნისი;

საზეიმო კონცერტი ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით;

ქართული ტრადიციული სიმღერებისა და გალობის ფესტივალი, მიზანი ქართული ტრადიციული სიმღერისა და გალობის პოპულარიზაცია;

სახალხო-დღესასწაული "კასპობა 2023":

საახალწლო საზეიმო კონცერტი.

სოფელ ფერმაში საბავშვო ბაღი შენდება

✦ სოფლის ისტორიისათვის (დაარსება, სახელის წარმოშობა და სხვა)

სოფელი ფერმა მდებარეობს ქსნის ქვემო წელში, კასპისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების სამიჯნე ტერიტორიაზე, მდინარის მარჯვენა მხარეზე (მას ზედვე ებმის და ერწყმის მეორეც – ჩანგილარი).

ორივე სოფელში ეთნიკური შემადგენლობის უმეტესობას აზერბაიჯანელები შეადგენენ. ათი წლის წინანდელი, 2014 წლის, მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად, მუსლიმი მოსახლეობა აქ 92,5 პროცენტს ამეტებს. შედარებით მცირედ სახლობენ ოსები (5,3) და ქართველები (3 პროცენტზე ოდნავ მეტი).

საინტერესოა, როდის გაჩნდა შიდა ქართლის მხარეში ესოდენ კომპაქტურად დასახლებული აზერული სოფელ(ებ)ი? ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი ქსე-ის მე-10 და მე-11 ტომებში (ტერმინები: "ფერმა", "ჩანგილარი").

ეს სოფლები, საერთოდ, შეტანილი არაა "საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის" მე-5 ტომში (თბილისი, 1990 წ. ტომი 5, გვ. 126-226). ამ მხრივ ვერ გვეხმარება ვერც თანამედროვე სოციალური ქსელი (ინფორმაციის ყოვლისმომცველი "გუგლი").

ჩვენთვის საძიებო თემასთან დაკავშირებით საჭირო და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სოფელ ფერმის საბაზო სკოლის დირექტორი შახალ ისმაილოვი.

– სოფელ ფერმის წარმოშობის ისტორია ძველდროებაშია საძიებელი. დღევანდელ თაობას ზოგი რამ ჩვენი წინაპრებიდან გაგვიგონია, ზოგი რამ კითხვა-კითხვით დავადგინეთ. ქსნის ხეობის ქვემო ნაწილში აზერები საუკუნეების წინ გამოჩენილან. მე-18 საუკუნის ბოლო ათწლეულში აზერბაიჯანული ყარაბაღის მხრიდან პირველი ჯგუფი აქ საგანგებოდ გადმოუსახლებიათ. მათი ადგილმონაცვლეობის ნებართვა და აქ დასახლების უფლება თვით მეფე ერეკლე მეორეს გაუცია. საამისო ტერიტორიად გამოუყვიათ მასთან დაახლოებული მუხრანის მფლობელის, იოანე მუხრან-ბატონის მსხვილფეხა პირუტყვის სადგომის (ფერმის) ვრცელი ადგილი. სავარაუდო აღარაფერია, ახალ სოფელს სახელი დარქმევია ტერმინ "ფერმის" (სასოფლო-სამეურნეო ან საწარმოო დანიშნულების ადგილის) მეოხებით, გავლენით.

ასეა თუ ისე, ასწლეულების განმავლობაში აქაურმა მოსახლეობამ შეძლო შენარჩუნება ეროვნულობისა, სარწმუნოებისა, წეს-ჩვეულებებისა, ენისა. იგი არ შერწყმია ქართულ ეთნოსს, თუმცა ამჟამად აქ ოფიციალური სალაპარაკო ენა ქართულია, ჩვენებურთა საქმიანობის ძირითად მხარედ მაინც რჩება მესაქონლეობა. აი, ახალი თაობების წარმომადგენლებში უკვე გამოჩნდნენ ბიზნესმენები, საჯარო მოსამსახურეები, ცალკეულ დარგებში წარმატებული ახალგაზრდები, სპეციალისტები... სოფელი საქართველოს დედაქალაქიდან 40 კილომეტრითაა დაშორებული, მუნიციპალური ცენტრიდან კი 22 კილომეტრით. ცხადია, ასეთ სიახლოვესა და ტერიტორიულ მდებარეობას თავისი დადებითი ნიშნები გააჩნია.

ფერმაში ამჟამად ფუნქციონირებს: ქართულენოვანი საბაზო სკოლა (გაიხსნა 1960 წელს), პურის საცხობი და რამდენიმე მინიმარკეტი. ასევე, მოქმედებს მეჩეთი... გვაქვს საბავშვო ბაღიც.

(ჩვენი შენიშვნა: პუბლიკაციის მთავარი თემა სოფელში საბავშვო ბაღის მშენებლობის მიმდინარეობაა და ამაზე – ცალკე, ქვემოთ უფრო ვრცლად). რაკი ავტობანთან საიხლოვე ვახსენეთ, გეტყვით იმასაც, რომ 2016 წლიდან ავტობანიდან სოფელში მისასვლელი სამანქანო გზა მოასფალტებულია. სწორედ იმხანად მოეწყო სასმელი წყლის 640-მეტრიანი ქსელგაყვანილობა (მოსახლეობა მანამდე ჭებს იყენებდა, თუმცა ამ სიკეთით დღესაც სარგებლობს).

სოფლის ჩრდილოეთ მხარეზე ამჟამად გადის ბაქო-სუფსის ერთიანი გაზსადენის მილგაყვანილობა.

ერთი სიტყვით, სოფელი ფერმა ქვეყნის შუაგულშია და არა სადმე განაპირა მხარეში, აქვეა, დედაქალაქის ყურისძირში.

✦ ქართულენოვანი სკოლა

ეთნიკური არაქართველებით კომპაქტურად დასახლებულ სოფელში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასეთი პროფილის საგანმანათლებლო ობიექტის არსებობას. სწორედ ქართულენოვანი სკოლაა ის აუცილებელი წინაპირობა, ფრიად მნიშვნელოვანი კერა, რაც ხიდად გადებულა გვერდი-გვერდ მოსახლე ორი ერის ისტორიულ თანაცხოვრებაში, ყოველდღიურ ურთიერთობაში. ენობრივი ბარიერი მუდამ ხელშემშლელი ფაქტორი იყო ათწლეულების განმავლობაში თითქმის აქნობამდე, მიმდინარე საუკუნის დამდეგამდე...

სოფელ ფერმაში ქართულენოვანი სკოლა გაიხსნა 1960 წელს. მისთვის ჭერქვეითი გამოინახა აქაური კერძო მობინადრის იმამალი მაჰმადოღლის ბინაში. თავდაპირველად 4-წლიანი იყო. შემდეგ გადაკეთდა 8-წლიანად. ამჟამად საბაზო განათლების კერაა (9-წლიანი). მისი კურსდამთავრებულების უმეტესობა (თითქმის 80 პროცენტი) სასწავლო კურსს აგრძელებს მეზობელი სოფლის – ოკმის – საჯარო სკოლაში. ნიშანდობლივი ფაქტია ის, რომ მათი ხელშეწყობისათვის გამოყოფილია სპეციალური სამიმოსვლო ტრანსპორტი (ავტობუსი).

(ჩვენი შენიშვნა: 2023-24 სასწავლო წელი 12 ფერმელმა ახალგაზრდამ დაასრულა).

ამჟამინდელი სკოლა ფუნქციონირებს 1965 წელს აგებული ერთსართულიანი შენობის კედლებში, მთელი სიგრძესიგანით დგას სოფელში მისთვის ახალი ნაგებობის საჭიროება (სწავლება მიმდინარეობს ორცვლად). საკითხის პრობლემურობა გადაწყვეტილია და ფერმაში ახალი სკოლის მშენებლობა უახლოეს ხანებში დაიწყება.

აქვე, უთუოდ, უნდა გაგაცნოთ იმ ადამიანთა ვინაობა, ვინც სოფლის სკოლაში დირექტორობდა: კოტე მამულაშვილი, კობა სამყურაშვილი, ზინა თოგოშვილი, ნოე შერმადინი, ალექსანდრე ბაშარული, დავით ქოთოლაშვილი... 2007 წლიდან ფერმაში სკოლას თავკაცობს შახალ ისმაილოვი (ამავე სოფლის შვილი, თავისავე სკოლის 1973 წლის კურსდამთავრებული, სოფლის ყოფილი თავკაცი...).

✦ ბაღის ახალი შენობა სასექტემბროდ გაიხსნება

ზუსტად 19 წლის წინ, 2004 წლის 10 ივნისს, საქართველოში გამომავალმა უპირველესმა გაზეთმა "საქართველოს რესპუბლიკამ" გამოაქვეყნა მცირე ინფორმაცია "შახალ ისმაილოვის თაოსნობით" (სათანადო რუბრიკით "თუ საქართველოში ცხოვრობ"). აი, რას ვკითხულობთ მასში:

"კასპის რაიონის აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ ფერმაში ქართული ბაგა-ბაღი გაიხსნა. 2005 წლის პირველი ივნისიდან აქ უკვე აღნიშნული ეროვნების ბავშვები დადიან.

... ამ საქმის მოგვარებაში დიდი წვლილი მიუძღვის სოფლის თავკაცს, ჩინებულ მოქართულეს, ახლო წარსულში ცნობილ სპორტსმენს (ფეხბურთელს) შახალ ისმაილოვს. მან თავისი სურვილი გააცნო პრეზიდენტის რწმუნებულს შიდა ქართლის

მხარეში მიხეილ ქარელს. საქართველოს ენის პალატის კასპის განყოფილების მიერ მოწყობილმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამაც ცხადყო ამ სოფლის აზერბაიჯანელი მოსახლეობის სურვილი და, აგერ, ქართულმა ბაგა-ბაღმა ფართოდ გაუღო კარი აზერბაიჯანელ ბავშვებს" (ავტორი – მედეა მახარაშვილი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი).

*** ახლა სიტყვას გადავცემთ სოფელ ფერმის საბავშვო ბაგა-ბაღის გამგეს ლორინა ჩიტაშვილს (საინტერესოა დაკონკრეტება იმისა, რომ 2005 წლიდან დღემდე იგი შეუცვლელად იმყოფება აღნიშნულ პოზიციაზე):

– საბავშვო ბაღის გახსნა არაქართულენოვან დასახლებაში სწორედ რომ დროული აღმოჩნდა. ფაქტს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ თვალსაზრისით, რომ ადგილობრივი სოფლის მოსახლეობასთან ფრიად ჭირდა კომუნიკაცია ენობრივი ბარიერის არსებობის გამო.

გაბედულად შეგვიძლია იმის აღნიშვნა, რომ მუსლიმანებით დასახლებულ სოფელში ამგვარი ორმხრივი პრობლემა დაძლეულია გარკვეულ დონეზე და საკმაოდ წინსვლა იგრძნობა. სადღეისოდ ჩვენი ბაღის კედლებიდან გამოსული ბავშვთა კონტინგენტი სკოლაში, ანუ შემდგომ სასწავლო-საგანმანათლებლო საფეხურზე, გამოირჩევა სწავლების დონითა და ხარისხით. ასეთი გარემოების თაობაზე არაერთხელ გვსმენია სოფლისავე სკოლის პედკოლექტივისაგან. და რა დასამალია, ამ გზაზე ბევრი სირთულე მოვიტოვეთ უკან. სასურველი შედეგი სახეზეა, მას ყოველთვის ვაღწევთ. ეს კი შემდგომი მუშაობისათვის სტიმულს გვაძლევს. დიახ, ჩვენმა პატარებმა ენობრივი ბარიერი გადალახეს და ახლა ისინი ქართულ ენაზე უმღერიან საქართველოს მთებსა და ველებს.

თავდაპირველად, თითქმის 20 წლის წინ, ჩვენი ბაღის პედაგოგიური კოლექტივი მცირერიცხოვანი იყო: ლორინა ჩიტაშვილი – გამგე, ნინო შერმადინი და თინათინ ქარაული – აღმზრდელები, რუსუდან ბიწაძე – ძიძა, ნინო სამხარაძე – მზარეული...

წარმოგიდგენთ ბაღში ამჟამად დასაქმებულთა ვინაობასაც: ნატალია ჩიტაშვილი – აღმზრდელი, ნელი კორაევი – ძიძა, ნუკრი ხრიკული – მუსიკის მასწავლებელი, ლალი წიპტაური – ექთანი, დარიკო კურდღელაშვილი – მზარეული, სევილა აღაზკიზი – დამლაგებელი, ზურაბ ფირალი ოღლი – დარაჯი...

როგორ არ გავიხსენო: ჩვენი ბაღი ნაქირავებ კერძო ბინაში გაიხსნა და მშობლების შემოწირულობით სულდგმულობდა. შემდგომ პერიოდში დაგვიფინანსდა სამჯერადი კვება და შენობის ქირა..

აგერ, 19 წელია, ფერმის საბავშვო ბაღი წარმატებით ფუნქციონირებს.

საგაისოდ ჩვენ "20 წლისანი" ვხდებით. გვიხარია, რომ "მრგვალ იუბილეს" ახალ შენობაში შევეგებებით

*** მაშინ სოფელში კიდევ ერთხელ გაიხსენებენ ამ საშვილიშვილო საქმის ინიციატორსა და ორგანიზატორს – იმჟამინდელი ოკმის საკრებულოს გამგებელს ნუკრი ხრიკულს, რომელმაც არა მარტო ამ სოფლისათვის ახარა კეთილნერგი, არამედ, თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში, სათემო ყველა სოფელში არა ერთი პრობლემური საქმე მოაგვარა მოსახლეობის სასიკეთოდ (გაზიფიცირება, დენგაყვანილობა, ოკმის ღვთისმშობლის ტაძრის მოხატვა და ამოქმედება...). ამიტომაა, რომ სოფელ თეზის წმინდა

დასასრული გვ-8.

გინდოდა მწვრთნელი უყვარს ...

ყველა ვთანხმდებით, რომ ანიკო ეძგვერაძე გამორჩეულად კარგი მასწავლებელი იყო. მიუხედავად ამ მოცემულობისა, უნდა ვაღიაროთ, რომ მის განსწავლულობასთან ერთად გვიზიდავდა მკვეთრად გამოხატული ხასიათი.

მკვეთრად გამოხატული ადამიანები არ სჭირდებოდა საბჭოთა სინამდვილეს... თუ გავიხსენებთ ანიკო ეძგვერაძის მუშაობის ბოლო წელს, სადაო აღარაფერია.

მაგრამ, მაინც, ჩვენ მის გვერდით მუშაობის დროს გვიზიდავდა და მოგვწონდა ჩვენი სკოლის განსხვავებულ პედაგოგთა კოჰორტის გამოჩენილი პედაგოგი.

მან ისეთი მოსწავლეები გაზარდა, დღესაც რომ ლაზათიანად ქმნიან ჩვენი ცხოვრების საინტერესო ისტორიებს.

ანიკო ან უყვარდათ, ან არა! საშუალო არ არსებობდა. მაგრამ რთული იყო სადაო გამხდარიყო მისი ცოდნა.

მე მომისმენია ანიკოს აღზრდილების მონაყოლი, როგორ უკვირდათ თბილისში უნივერსიტეტის პროფესორებს, მე-19 საუკუნის პრესაში გამოქვეყნებული წერილები რომ იცოდნენ ანიკოს მოსწავლეებმა, - ვინ წაგაკითხათ, რა კარგად და ზუსტად მოუწამლიხართ ეროვნული აზროვნებითო.

თაობათა კავშირი, რწმენასთან ერთად ინახავს ჩვენი ქვეყნის მომავალს. ასე შეუმჩნევლად ანიკო მასწავლებელი თავის აღზრდილებთან ერთად დგას საქართველოს სადარაჯოზე.

✦ 2024 წლის 31 მაისს ქ. კასპის პირველ საჯარო სკოლაში ჩატარდა ქალბატონ ანა ეძგვერაძის სახელობის საქალაქო ტური ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

პროექტის იდეა დიდი ხნით ადრე არსებობდა, წლების წინაც ჩატარდა მსგავსი საქალაქო ღონისძიება.

პროექტის განხორციელება მოხერხდა მაისის თვეში. დაიწერა დებულება, დაეგზავნა ქალაქის სკოლებს. საორგანიზაციო ჯგუფმა გადაწყვიტა, მიმდინარე წელს ეს ყოფილიყო ერთიანი ეროვნული გამოცდების იმიტაცია.

შეიქმნა სათანადო ტესტი, განისაზღვრა ნაწერების გამსწორებელი კომისიის შემადგენლობა: მარინა მენაბდიშვილი – №1 საჯარო სკოლა, ლალი ხარჩილაძე-ღვინიაშვილი – №2 საჯარო სკოლა, ნანა იაშვილი – №3 საჯარო სკოლა, ინგა ქენქაძე – №4 საჯარო სკოლა, თამარ გიგაური – შპს "ბესიკ ნიპარიშვილი", მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზია.

წინასწარ გამოცხადდა ონლაინრეგისტრაცია. ღონისძიებაში მონაწილეობდა 35 მოსწავლე (XI და XII კლასები).

გასწორების შემდეგ შედგა რეიტინგული სია. I ადგილი – სალომე სამხარაძე, №1 საჯარო სკოლა (XII კლასი), II ადგილი – გიორგი გოჭოშვილი, №1 საჯარო სკოლა (XI კლასი), III ადგილი – მარიამ ქურთაული, №1 საჯარო სკოლა (XII კლასი).

I და II ადგილებზე გასული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ "ბიბლუსის" 100-ლარიანი ვაუჩერებით, III ადგილზე გასულმა მიიღო 50-ლარიანი ვაუჩერი.

ასევე დაჯილდოვდნენ ის მოსწავლეებიც, რომელთაც მიიღეს 50 ქულაზე მეტი (მაქსიმალური 60-დან). ესენი არიან: ანი ხორგუაშვილი – №1 საჯარო სკოლა, ნიკოლოზ პავლიაშვილი – №1 საჯარო სკოლა, ანასტასია გიუნაშვილი – №1 საჯარო სკოლა, მარიამ ქაწაშვილი – №1 საჯარო სკოლა, ანი ბერიანიძე – №4 საჯარო სკოლა. ამ მოსწავლეებს გადაეცათ "ბიბლუსის" 30-ლარიანი ვაუჩერები. ყველა მოსწავლემ მიიღო სამახსოვრო სიგელი.

პირველ ადგილზე გასულ სალომე სამხარაძეს სკოლა-გიმნაზიის პედაგოგმა ნინო ნიპარიშვილმა გადასცა ნინო ხარატიშვილის რომანი, ასევე სკოლა-გიმნაზიის პედაგოგის, დუდანა ნიპარიშვილის, დაწესებული 100-ლარიანი ვაუჩერი ხვდა წილად II ადგილზე გასულ გიორგი გოჭოშვილს. კიდევ ერთი სპონსორი გახლდათ ქალბატონი ნინო ცინცაძე, რომელმაც 100 ლარი გადასცა მარიამ ქურთაულს.

დაჯილდოვდა სკოლა-გიმნაზიის XI კლასის მოსწავლე ლუკა ტერტერაშვილი. მას ნინო ნიპარიშვილმა გადასცა ნ. ხარატიშვილის რომანი, ხოლო მარინა მენაბლიშვილმა – საქართველოს ისტორიის ოთხტომეული\, ნიკა პავლიაშვილს მ. დაბრუნდაშვილმა გადასცა ფასიანი საჩუქარი.

ღონისძიების სპონსორი გახლდათ სკოლის ყოფილი დირექტორი, ქალბატონი თამარ აბულაძე.

7 ივნისს დაჯილდოების ცერემონიაზე მოწვეული იყვნენ სკოლის ყოფილი პედაგოგები, ქალბატონები: მეგი მჭედლიძე, ნუნუ გზირიშვილი, მერი გზირიშვილი, ლალა შალუტაშვილი, ბელა კობიაშვილი, მანანა ყაბანაშვილი, გიული სოზიაშვილი, ნატო გაბოშვილი, ნინო ფერაძე, თამარ დოლიშვილი, ცირა მარტიაშვილი, ნანა მერებაშვილი, ნათელა თევდორაშვილი, ია ხუციევი, მანანა ხოხაშვილი.

მოწვეული იყვნენ ქალაქის სკოლების პედაგოგები: ნანა იაშვილი, ინგა ქენქაძე, თამარ გიგაური, ცირა შაქარაშვილი, ქეთინო ხითარიძე, ნინელი ყაზარაშვილი, გულო გიგაური, გაზეთ "ახალი განთიადის" რედაქტორი ნანა მერებაშვილი.

ვიდეოჩართვა ჰქონდათ ქალბატონ ანა ეძგვერაძის ყოფილ მოსწავლ;ეებს – ციური გუგულაშვილს, მანანა ჩერქეზიშვილს, თამარ გუგულაშვილს.

ამ ღონისძიების განხორციელება მოხერხდა სსიპ ქალაქ კასპის №1 საჯარო სკოლის მთელი კოლექტივის ძალისხმევითა და მონდომებით.

კულტურისა და ხელოვნების მერიდიანებზე

✦ 2024 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიება გაიმართა ქალაქის ცენტრში. ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, ომის ვეტერანებმა პატივგების ნიშნად გვირგვინებით შეამკეს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავასა და გიორგი მაზნიაშვილის ბიუსტები, მამულისათვის თავდადებული კასპელი ვაჟკაცების მემორიალი. მათი სულების მოსახსენებელი პარაკლისი აღასრულა მამა ალექსანდრემ (გუბელაძე).

საზეიმო ღონისძიება მოეწყო ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კულტურის ცენტრის მოედანზე და სააკაძის სკვერში, სახალხო გმირის დიდებული ძეგლის ბაქანზე.

✦ შეკრებილებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელმა კასპის მუნიციპალიტეტში, გადამდგარმა პოლკოვნიკმა ლავრენტი ბაიდაურმა.

✦ ვრცელი საკონცერტო პროგრამა გახსნა ხალხური სიმღერის ვარსკვლავოსანმა მამაკაცთა ანსამბლმა "მოურავმა" (ხელმძღვანელი რევაზ კერესელიძე). "მოურავმა" შეასრულა "მრავალჟამიერი" და "ხმალი ავლეთ...." სოლისტებმა მიხეილ ქოსაშვილმა, რევაზ კერესელიძემ და ირაკლი ქებაძემ იმღერეს "საქართველო, ლამაზო" (სხვათა შორის, კასპში სამაისოდ გაჟღერდა სიმღერის ახლებური ვერსია, რომელიც ჩაწერილია კომპოზიტორ კობა კრიჭაშვილის სტუდიაში).

✦ ორიოდე წელია, რაც მუნიციპალურ საკონცერტო აქტივობებში აქტიურად მონაწილეობს კასპის მუსიკალურ ცენტრთან ჩამოყალიბებული ბენდი (ხელმძღვანელი – კომპოზიტორი კობა კრიჭაშვილი).

ასე იყო ამჯერადაც, როცა ორიოდე დღეში მომზადებული სიმღერა შეასრულეს ბენდის წევრებმა: მომღერლებმა ხატია მამულაშვილმა, გია ყაზარაშვილმა (ბასგიტარა), ჯაბა ნონიაშვილმა (სოლოგიტარა), კობა კრიჭაშვილმა (კლავიშები) და მიხეილ ქოსაშვილმა (დრამი).

✦ ქალთა ანსამბლი "კაბადონი" (ხელმძღვანელი ბელა კობიაშვილი) – კასპში გამართული საქვეყნო საიუბილეო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტის კიდევ ერთი მონაწილე – წარმოდგა სამი ნომრით: "ქართული სიმღერების პოპური", "სიმღერა თბილისზე" და "მრავალჟამიერი".

✦ სოფელ აღაიანის სასოფლო კლუბთან არსებული ხალხურ საკრავთა საბავშვო ანსამბლი "თხოთი" (ხელმძღვანელი ირაკლი ქაწაშვილი) საკონცერტო პროგრამაში ჩაერთო სრული შემადგენლობით. აღაიანელმა გოგო-ბიჭებმა "ქართული სიმღერების პოპურის" შესრულებისათვის პუბლიკის მხურვალე ტაში და მოწონება დაიმსახურეს.

✦ კიდევ ერთმა საბავშვო კოლექტივმა მოიწონა თავი საოცდაექვსმაისო კონცერტში გამოსვლით, კერძოდ, კავთისხევის სასოფლო კლუბის ხალხურ საკრავთა ანსამბლმა "კავთურამ".

ანსამბლის ხელმძღვანელმა, ამაგდარმა მუსიკოს-შემსრულებელმა და პედაგოგმა ნანა შალი

დასასრული გვ 5.

გავაცოცხლოთ ფოლკლორი ახალგაზრდა თაობაში

„ნანინა“ – შემეცნებითი შეხვედრა კასპის ლოტბარო სკოლის მოსწავლეებთან

თბილისის ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითი ჯგუფის – ქალთა ფოლკლორული ანსამბლი “ნანინას” წევრებმა ფოლკლორულ-შემეცნებითი შეხვედრა გამართეს კასპის მუსიკალურ ცენტრთან არსებული სალოტბარო სკოლის მოსწავლეებთან (პედაგოგი – ლოტბარ-რეგენტი თორნიკე მერაბიშვილი). ნიშანდობლივია, რომ ისინი მოქმედებდნენ მათივე პროექტის – “გავაცოცხლოთ ფოლკლორი ახალგაზრდა თაობაში” – ფარგლებში და პირველი გასვლითი ღონისძიება სწორედ ქ. კასპში დაგეგმეს (შემდეგ ქ. დუშეთს ეწვივნენ და ასე მოივლიან ყველა მხარესა თუ რეგიონს, სადაც დღემდე ცოცხლობს ქართული ფოლკლორი).

2024 წლის 6 ივნისს კასპის პირველი საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში გამართული შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, ხოლო უშუალოდ მსვლელობის პროგრამას წარმართავდა “ნანინას” დირექტორი მაკა ხარძიანი.

ანსამბლის თაობაზე ვისაც ნაკლებად სმენია, გეტყვით, რომ “ნანინა” მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. მას მდიდარი რეპერტუარი გააჩნია. ბევრი ხალხური ძველებური სიმღერა მოიძია, გააცოცხლა და ახლებური არანჟირებაც მოარგო ნაწილს. ახალდროების სიმღერები ხომ თავისთავად იგულისხმება. მისი არსებობის მიზანი კეთილშობილი და გამართლებულია – შევინარჩუნოთ ფოლკლორული მუსიკის ტრადიციები, როგორც ქართველთა სახელოვნებო ნიშა, იდენტობის ნიშანი! ამიტომაა, რომ 2021 წლიდან ანსამბლი გარდაიქმნა ეთნომუსიკოლოგთა თავისებურ, ერთგვარ შემოქმედებით ჯგუფად.

კასპში ახალგაზრდობასთან ფოლკლოშეხვედრისას “ნანინას” წევრებმა ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციების შესახებ პირადი საუბრებითა და ცოცხლად წარმოჩენილი ილუსტრირებული ქმედებებით განასახიერეს და წარმოადგინეს საპროექტო დანიშნულება. აქვე დავაკონკრეტებთ, რომ “ნანინას” პროექტი არის საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონკურსის – “კულტურის სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა” – გამარჯვებული და ხორციელდება ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერით.

ზემოაღნიშნულ შეხვედრას თამამად შეიძლება ეწოდოს “ცოცხალი ლექცია” ქართული ფოლკლორის თაობაზე. მას, გარდა კასპის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებისა, ესწრებოდნენ და ისმენდნენ პირველსკოლელი მოსწავლეებიცა და პედაგოგებიც.

ფოლკლორული შემეცნებითი შეხვედრის დასასრულს სტუმარ-მასპინძლებმა ერთობლივი ძალებით იმღერეს. მანამდე კი სალოტბარო სკოლის ნორჩმა შემსრულებლებმა უჩვენეს თავიანთი საშემსრულებლო ხელოვნება, რითაც პროფესიონალთა მოწონება დაიმსახურეს.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება

დასასრული. დასაწყისი იხ. გვ4

ტაურმა ჯერ ხომ თვითონ იმღერა ქალთა ანსამბლი “კაბადონის” შემადგენლობაში, მერე კი თავისი ნორჩი შეგირდები სიამაყით გამოიყვანა სახელდახელოდ მოწყობილ მაღალ სცენაზე და ახლა ისინი წარუდგინა დიდძალ მაყურებელს.

✦ თბილისური ბენდი, რომელიც არსებობის 6 წელს მოითვლის, ქ. კასპში პირველად იმყოფებოდა. მას აქ უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს, რაც, უპირველესად, გამოწვეულია იმით, რომ კასპელები ჯერ უფროს ხუციშვილს სცემდნენ პატივს, მას შემდეგ კი, რაც მამა (გიო ხუციშვილი) გარდაიცვალა, სიყვარულის წილი ვაჟიშვილისადმი მიმართეს.

– “ზუკა ხუციშვილი” – ეს უკვე ბენდის ბრენდული სახელია, ამიტომაა, რომ საგანგებოდ სხვა სახელწოდება არ გვიძებნია, – განაცხადეს ჩვენთან საუბარში, კონცერტის წინ, “ზუკა ხუციშვილისა და ბენდის” მუსიკოს-შემსრულებლებმა. ეს, მართლაც, ასეა!

გადაუჭარბებლად შეიძლება იმის თქმა, რომ ამ კოლექტივის კონცერტმა კასპში დიდი ანშლაგით ჩაიარა.

აი, ისინიც, ვინც 26 მაისს კასპელებისათვის მღეროდა და უკრავდა: მომღერალი ზუკა ხუციშვილი, კლავიშიანი ინსტრუმენტი – ლევან ჩხაიძე, სოლოგიტარა – დავით ლონდარიძე, დასარტყამი ინსტრუმენტი – გიორგი ტაბატაძე და ბასგიტარა – გიორგი ჭაუჭიძე.

✦ კასპის მუნიციპალიტეტის მოქმედი პროფესიული და თვითმოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლები, რომლებიც 2024 წლის 26 მაისს მონაწილეობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავ ღონისძიებაში (ორგანიზატორები: მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე; კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება – დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი):

– “რკონი” – დომენტი მამულაშვილის სახელობისა (ხელმძღვანელი მაკა დათაშვილი, ქორეოგრაფები ნინო ხუროშვილი და თორნიკე გულვერდაშვილი) – ცეკვები: “ქართული”, “აფხაზური” და ”ყაზბეგური”;

კულტურისა და ხელოვნების მერიდიანებზე

– “დიდგორი” – დავით ჯავრიშვილისა და რევაზ ჭოხონელიძის სახელობის ცეკვის აკადემია (სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, მთავარი ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფი დარინა პაპაშვილი) – ცეკვები: “ქართველების ერთად ყოფნა” და “ქალთა ხორუმი”;

– “ქართლი” – ჯავარ ნაჭყებიას სახელობის სახალხო-სანიმუშო (ხელმძღვანელი ხათუნა გაგაძე) – ცეკვები: “ყაზბეგური”, “კახური” და “ფლეშმობი”;

– “იმედი” – ომარ მხეიძის სახელობის სახალხო (ხელმძღვანელი ინგა თაბუკაშვილი) – ცეკვები: “სადარბაზო”, “აჭარული” და “ჯუთა”...

ეიმეგოლრეთ!

ძვირფასო პატარებო, კარგა ხანია ვცდილობ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე რაზე საუბრობდა მშობლებს სსსულარ საუბლიათ...

თქვენ ახლა გაკვლებით ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო, საინამოვნო და საახალისო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საგანგებო ინფორმაციებზე, გადამალულ და ჯერ ვერ მოძიებულ საგანძურზე...

მაშ ასე, გამოგვიგზავნეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში დაელოდეთ პასუხს.

შეხვედრამდე!

„კეხურა„

ზაფხულის სასპორტო პულსი...

სპორტ INFO

ჭიდაობა სამბო – ვეტერანი 60 წლისაა: ვეტერან მოჭიდავეს, შალვა პაპინაშვილს, დაბადებიდან "მრგვალი" თარიღი შეუსრულდა (დაბადებულია 1964 წლის 12 ივნისს). იგი, როგორც იტყვიან, ხოვლის ნახერხ-მოყრილი საჭიდაოდან გავიდა დიდ საჭიდაო გამარჯვებათა გზაზე. 20 წლის ასაკში, 1984 წელს, გახდა მსოფლიო ჩემპიონი (ახალგაზრდებს შორის). საინტერესოა, რომ ხუთიოდე წლის განმავლობაში რამდენიმე "ხმაურიანი გამარჯვება" მოიპოვა: 1981 წელს ჭაბუკებში, 1985-ში გახდა ყოფილი საბჭოეთის ჩემპიონი, ხოლო 1984 და 1983 წლებში – მეორე და მესამე პრიზიორი.

ჭიდაობა ძიუდო – 23 წელი გამარჯვებათა შორის: მეტეხელი ვეტერანი მოჭიდავე 38 წლის კახა მამულაშვილი ამჟამად საქართველოს სამბოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა გუნდშია (2021 წლიდან). ჭიდაობის ამ სახეობაში ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონმა ახლახან სპორტული ჩოხის ნაცვლად კიმონო მოირგო და 39-ე წელში გადამდგარმა (დაბადებულია 1985 წლის 21 ოქტომბერს) ევროპის ვეტერან ძიუდოისტთა შორის კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვა ბოსნია-ჰერცოგოვინას დედაქალაქ სარაევოში, რისთვისაც ერთი თვის საგანგებოდ ნავარჯიშებს ოთხი მეტოქის დამარცხება დასჭირდა (მათ შორის – ორი ფრანგისა).

ამით მან, შეიძლება ითქვას, ევროპის ჩემპიონის ტიტული განმეორებით მოიპოვა 23-წლიანი ხანგამოშვების შემდეგ, საქმე ისაა, რომ პირველად ევროპის ჩემპიონი (ჭაბუკთა ასაკობრივ კატეგორიაში) გახდა 2001 წელს ქ. ვარნაში (ბულგარეთი).

აი, რატომ დავსვით კითხვის ნიშანი დასაწყისში, როცა მის ვეტერანობას გავუსვით ხაზი. გვიმრავლოს კახა მამულაშვილისნაირი ვეტერანები! წელს იგი მსოფლიო პირველობაზეც აპირებს გამოსვლას. ამ საქმეში ფინანსურ მხარდაჭერას კვლავაც პირდება კასპის მუნიციპალიტეტის მერია, თანადგომას – სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება.

ჩოგბურთი – ახალქალაქის კორტებზე: წლევანდელ 7-9 ივნისს სოფელ ახალქალაქის საჩოგბურთო კორტებზე კლუბმა "ეისმა", საქართველოს სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის ორგანიზებით, გამართა 2024 წლის თასის გათამაშება.

შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

თაგრაგბის ფესტივალი: კასპის საფეხბურთო სტადიონზე ამა წლის 9 ივნისს გაიმართა "თაგრაგბის ფესტივალი – 24". მასში ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეები და ის ნორჩი რაგბისტები მონაწილეობდნენ, ვინც კასპის "მოურავებში" ირიცხება და ვარჯიშობს.

სასკოლო ოლიმპიადა – მხიარული სტარტები: კასპის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (სპორტის პედაგოგები გოდერძი მარიდაშვილი და ასმათი პავლიაშვილი) ეტაპობრივად გაიმარჯვეს, ჯერ მუნიციპალურ და შემდეგ რეგიონულ, შეჯიბრებებში. მან, როგორც შიდა ქართლის სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ჩემპიონმა, ამის შემდეგ იასპარეზა აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით გამარჯვებული სამხარეო გუნდების პირველობაზე.

ქ. რუსთავში კასპელმა მოსწავლეებმა მე-4 შედეგი უჩვენეს.

ფეხბურთი –კასპელი ნორჩი დინამოელები როდი ხუმრობენ: ივნისის დასაწყისში ქ. თბილისში გაიმართა "დინამო თბილისის აკადემიის" ნორჩი ფეხბურთელების დიდი ფესტივალი. მიწვეული იყვნენ კასპიდანაც. ისინი ორი გუნდით გამოვიდნენ 2012-წლიანთა გუნდის წევრებმა პატარა ფურორი მოაწყეს: ხუთივე თამაშში გაიმარჯვეს, მეტოქეთა კარში 40 ბურთი გაიტანეს და თავისაში კი ერთიც (!) არ გაუშვეს. შედარებით უმცროსებმა კი ამდენივე თამაშში 30 გაიტანეს და მხოლოდ ერთი მიიღეს (ოთხი გამარჯვება და ერთი ფრე).

რამდენიმე დღის შემდეგ "დინამო თბილისის" საფეხბურთო აკადემიასა და კასპის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2023 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ერთ-ერთმა ონლაინმაღაზიამ ნორჩ კასპელ ფეხბურთელებს ქ. კასპში საჩუქრად ჩამოუტანა და გადასცა სავარჯიშო ინვენტარი.

ერთი ნიშანდობლივი და სასიამოვნო ფაქტიც: ფესტივლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა "დინამო თბილისის" აკადემიის ასაკობრივი ნაკრები გუნდებისათვის პერსპექტიული მოთამაშეების შერჩევა.

როგორც კასპის "დინამოს" მწვრთნელებმა შავლეგო მაჭარაშვილმა და ნიკა ლეკვეიშვილმა გვითხრეს, – დედაქალაქელმა მწვრთნელებმა რამდენიმე კასპელი ნორჩი ფეხბურთელი დაიგულეს თვალსაწიერის სამიზნეზე.

გეზრბენი – მეთორმეტეკლასელთა უპირატესობით: სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექციამ (დირექტორი შოთა გოგიაშვილი, მენეჯერი ჯუმბერ სიდამონიძე) წლევანდელი ივნისის პირველ დღეს გამართა სასპორტო აქტივობა – მუნიციპალური პირველობა 3-კილომეტრიან დისტანციაზე (მოყვარულთა შორის).

შეჯიბრება წელს მესამედ ჩატარდა. შარშანდელში სტარტი 87 მორბენალმა აიღო, წლევანდელში – თითქმის განახევრებულმა რაოდენობამ (47). როგორც ჩანს, რბენის მოყვარულები ჩვენს ახალგაზრდობაში ბევრი არაა (ანდა, ასეთ ასპარეზობას მეტი ორგანიზება სჭირდება!)... ასეა თუ ისე, ასპარეზობის შედეგებით საპატიო კვარცხლბეკზე დადგა საუკეთესოთა სამეული:

პირველი ადგილი – ნოდარ მერებაშვილი (ქ. კასპის მე-3 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე), მეორე – ჯუმბერ ჯანანაშვილი (სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის 2024 წლის კურსდამთავრებული), მესამე – საბა ნონიაშვილი (კასპის მე-4 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე).

აღსანიშნავია, რომ ისინი ორგანიზატორებმა დააჯილდოვეს თასებით, მედლებითა და დიპლომებით. მათგან მეორეადგილოსანმა ჯუმბერ ჯანანაშვილმა შარშანდელი გეზრბენის შედეგი გაიმეორა. ის 2023 წელსაც მე-2 მივიდა ფინიშის ხაზთან (მას წელსაც გვერდით ახლდა და პირველმა მიულოცა სკოლის სპორტის პედაგოგმა მერი ბერიანიძემ).

ფეინთბოლი – ითამაშეთ, ითამაშეთ "ომობანა": ეს იყო მუნიციპალური მეორე პირველობა, ქალაქისა და სოფლების გუნდებს შორის. შარშანდელის მსგავსად, წელსაც იგი გაიმართა საქართველოს ფეინთბოლის ფედერაციის ორგანიზებითა (პრეზიდენტი ლაშა გიგოიძე, მსაჯი ოლეგ ზურაბიანი, წევრი თორნიკე ლორთქიფანიძე) და ადგილობრივი მერიისა და სპორტდაწესებულებათა გაერთიანების მხარდაჭერით.

მონაწილეობდა 9 გუნდი: "ზგოლფი", "ჯუნიორები", "გამარჯვება", "კასპი – 1936", " ნაპოლი", "ქეჩარუხი", "განთიადი", "ლომები" და "ზემო ხანდაკი".

გაიმარჯვა "ზგოლფმა". მის შემადგენლობაში გამოვიდნენ: გიორგი – ლევან ბალახაძე, ნიკა ობგაიძე, გიორგი რთველიაშვილი, დათო ნიკოლიშვილი და ტატო თაბუაშვილი.

მეორე იყო "გამარჯვება", მესამე – "ლომები". სამივე გუნდის წევრები დაჯილდოვდნენ ფედერაციის სპეციალური სასაჩუქრე პრიზებით.

(ფეინთბოლი არის ტექნიკურ-სპორტული და ექსტრემალური თამაშობა, საბრძოლო მოქმედებების ერთგვარი იმიტაცია. ტარდება განსაზღვრულ ტერიტორიაზე და სივრცეში – ღია მოედნებზე, შენობებში, ტყეებში... გამოიყენება ბუნებრივი და ხელოვნური ბარიერები და საფრები, იარაღად – სპეციალური სასროლი ე. წ. "მარკერი". მოთამაშეები იმოსებიან სპეციალური ფორმით და იყენებენ სათანადო აღჭურვილობას).

თავისუფალი ჭიდაობა – ორი პრიზიორი: ქ. ბათუმში მაისის ბოლო დღეს გაიმართა საერთაშორისო ტურნირი (მიეძღვნა ფარვიზ გაგუას ხსოვნას). ჩვენი გაერთიანების უმცროსი ასაკის ჭაბუკებმა დავით კობახიძემ და გივიკო ქებაძემ დაიკავეს მე-3 საპრიზო ადგილები (მწვრთნელი თემურ გაბოძე).

ჭიდაობა ძიუდო – ჩვენი ლიცენზიანტი: ქ. თბილისში, ძიუდოს დარბაზში, წლევანდელ პირველ ივნისს მეორე დონის სალიცენზიო ასპარეზობა გაიმართა ჭაბუკი მოჭიდავეებისათვის. უნდა მივულოცოთ კასპელ მოსწავლეს სანდრო მიდელაშვილს, რომელიც 42-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდიოდა და პირველი ადგილი დაიკავა. ჩვენმა ნორჩმა ჩემპიონმა (მწვრთნელი კახა ხუბაშვილი) საქართველოს პირველობაზე გამოსვლის უფლება მოიპოვა.

კიკბოქსინგი – სკოლის დამთავრება ჩემპიონობით აღნიშნა: სოფელ დოესის საჯარო სკოლის წლევანდელმა კურსდამთავრებულმა ლუკა ყეინაშვილმა მნიშვნელოვანი სპორტული მიღწევით აღნიშნა თავისი ცხოვრების ერთ-ერთი სამახსოვრო მომენტი, როგორიც სკოლის "ოქროს ხნის" გასტუმრებაა. კერძოდ, მაის-ივნისის მიჯნაზე მან წარმატებით იასპარეზა საქართველოს პირველობაზე და ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა (72-კილოგრამამდე წონითი კატეგორია, უფროსთა ასაკობრივი ჯგუფი), თანაც, უკვე მესამედ! დიახ, ლუკა საქართველოს 3-გზის ჩემპიონია. ვულოცავთ მას და მის მწვრთნელს – ვოვა ჯანეზაშვილს, ვისთანაც ჩვენი ჩემპიონი ქ. გორში ვარჯიშობს.

თავისუფალი ჭიდაობა – სამივე სინჯის მედლით: დიახ, წლევანდელ 8-10 ივნისს ქ. მცხეთაში ჩატარებული ღია პირველობიდან სამივე სინჯის მედალი წამოიღეს ჩვენი გაერთიანების ნორჩმა მოჭიდავეებმა: პირველი ადგილი დაიკავა ბექა ღარიბაშვილმა (71-კილოგრამამდე კატეგორიაში), მეორე – ისაკ ბაშარულმა (51 კგ.), ხოლო მესამე იყო ნიკა ავლოხაშვილი (60 კგ.) – ამის თაობაზე ინფორმაციას გვაწვდის მათი მწვრთნელი მერაბ ბუნტური.

ფეხბურთი – "განთიადი" იწყებს და ... იგებს: კასპელ მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდი "განთიადი" მონაწილე იყო იმ საფეხბურთო ზეიმისა, რაც ა. წ. 26 მაისს ქ. დუშეთის "კოსმოარენაზე" გაიმართა "მასტერლიგის" 2024 წლის გათამაშების პირველ დღეს. აღმოსავლეთ საქართველოს "ა" ჯგუფში საასპარეზოდ ჩაბმულმა "განთიადმა" ამ დღეს სიღნაღის "წნორს" მოუგო (4:2). ორი კვირის თავზე კი "ანონიმუსის" გუნდი დაამარცხა "მშრალი" ანგარიშით (2:0).

(ჩვენი შენიშვნა: ტურები 2-კურსიანი ინტერვალით იმართება.)

მკლავჭიდი – ყველაზე ღონიერები: კასპის მასშტაბით ყველაზე ძლიერი და ღონიერი მარჯვენა-მარცხენა მკლავის მფლობელი ჯეილები გაპაექრდნენ მკლავჭიდში. ეს სპორტული აქტივობა ჩართული იყო 26 მაისის ისტორიული თარიღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიების კულტურულ-გასართობ პროგრამაში.

გაგაცნობთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

– 60 კილოგრამის წონითი კატეგორია: გიორგი გაბისიანი, რეზო ბერიანიძე და გიორგი მურადაშვილი (სამივე კასპი); 70 – ბექა ქამხაძე (ზემო ხანდაკი), ვახტანგ ჯლანტიაშვილი (ნოსტე) და გიორგი თეზელაშვილი (კასპი); 80 – გიორგი ნატროშვილი (ქვემო გომი), ნიკა ცალაგოვი და გიორგი ბერიაშვილი (ორივე კასპი); 90 – გიორგი აფციაური (ქვემო გომი), კობა გოგიაშვილი და ბექა ბარჯაძე (ორივე კასპი); აბსოლუტური პირველობა: გიორგი ნატროშვილი (ქვემო გომი), ლევან სულთანიშვილი (მეტეხი) და ლევან მერებაშვილი (კასპი).

ყველა გამარჯვებული და პრიზიორი დაჯილდოვდა სპორტგაერთიანების დირექციის თასებით, მედლებითა და დიპლომებით, ხოლო აბსოლუტური ჩემპიონი და მეორე-მესამე ადგილებზე გასულები, ასევე, ფულადი პრიზებით (შესაბამისად, 300, 200 და 100 ლარით).

სპორტ INFO

სპორტული ინფრასტრუქტურა

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, სპორტული მიღწევების ხელშეწყობისთვის აუცილებელია სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

ამ მხრივ მოთხოვნილება დიდია განსაკუთრებით ახალგაზრდებისგან და მუნიციპალიტეტი ცდილობს მოიცვას არა მარტო ქალაქი, არამედ სოფლებიც.

წლის განმავლობაში გარე გამოყენების ფიტნესტრენაჟორები მოეწყო 14 ლოკაციაზე, მათ შორის 12 სოფელში: დოესი, თელიანი, ნიაბი, ზემო ხანდაკი, ხოვლე, საქადაგიანო, სარიბარი, ქვემო რენე, სამთავისი, იგოეთი, ბორტა, ახალშენა-საკორინთლო;

ფიტნესტრენაჟორები მოეწყო ქალაქ კასპში 2 ლოკაციაზე - მიკრორაიონის და ვარჯაანის დასახლებაში.

ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები მოეწყო 9 ლოკაციაზე: მ/შორის 6 სოფელში: ახალციხე, თელიანი, სვანების დასახლება (აღაიანი), კავთისხევი, სასირეთი, ხოვლე.

ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები მოეწყო კასპში 3 ლოკაციაზე: №1 საბავშვო ბაღის მიმდებარედ, გრიშაშვილის და რუსთაველის ქუჩებზე.

ღია საჭიდაო არენა მოეწყო სოფელ დოესში.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოა დაწესებული. 2023 წელს კასპის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ მაისურაძის ინიციატივითა და მხარდაჭერით, ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს შპს "დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლასთან".

რა გვყოფილა?

მემორანდუმის ფარგლებში კასპელმა მწვრთნელებმა შავლეგი "დიდოსის თასის" საერთაშორისო ტურნირით გაიხსნა. საჩოგბურთო ბაზა მოიცავს სამ სავარჯიშო (ტრიბუნების გარეშე) და ერთ ცენტრალურ კორტს

მაჭარაშვილმა და ნიკა ლეკვეიშვილმა გადამზადების სპეციალური კურსი გაიარეს. "დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა-

ში" 40 კასპელი ბავშვი ვარჯიშობს.

2023 წელს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ სოფელ ახალქალაქში გარიყულაზე საჩოგბურთო ბაზა (4 კორტი) აშენდა.

აღნიშნული სპორტული ბაზა ნამდვილად დიდი შენაძენია ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის.

2023 წლის 14 - 16 სექტემბერს კორტები "დევისის თასის" (228 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნით), კორტები აკმაყოფილებს ტურნირებისთვის დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს.

მერია ხელს უწყობს კერძო ბიზნესის განვითარებას - კორტების მიმდებარედ გაიხსნა მაღალი კლასის სასტუმრო "შატო მეფის ქალაქი", სასტუმროს პირველი სტუმრები "დევისის თასის" საერთაშორისო ტურნირის მონაწილეები იყვნენ. მნიშვნელოვანია, რომ კორტების სტუმრების გარდა სასტუმრო მუნიციპალიტეტის ტურისტებსაც მოემსახურება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

მუზეუმები

კასპის მუნიციპალიტეტში 5 მუზეუმი ფუნქციონირებს და თითოეული მათგანი, რა თქმა უნდა, არამარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორია და ღირებულებაა, არამედ სრულიად საქართველოსი. მუნიციპალიტეტი მათი ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით გარკვეულ სამუშაოებს ატარებს.

სოფელ კავთისხევში ნაწილობრივ განახლდა ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმის ეზო და ფასადი.

ნაწილობრივ რეაბილიტირდა გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა, რომლის გარე ფასადი გასულ წელს განახლებული რეგიონების პროექტის ფარგლებში მოეწყო.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით განხორციელდა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ლამისყანის ჯამბაკურ - ორბელიანთა სასახლე - მუზეუმის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში არსებული, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ივანე ჯავახიშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის (რესტავრაცია-ადაპტაცია) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა დასრულდა, რომელიც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაფინანსდა.

მეოლომთიავნ ცოფილ გუდალეთში

კასპის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფელ გუდალეთში მდინარე გუდალურაზე გადასასვლელი ხიდის მშენებლობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

მიმდინარე სამუშაოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

პროექტის განხორციელების შემდეგ ადგილობრივები კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურით ისარგებლებენ.

ხიდის აღდგენის სამუშაოს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ვერ ბალ გრუპ"-ი ახორციელებს.

სპორტული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის მიზნით

კასპის მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის თანაბრად ხელმისაწვდომობის მიზნით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები გრძელდება.

სოფელ მიქელწყაროში საჯარო სკოლის მიმდებარედ, ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მიმდინარე სამუშაოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი გაეცნენ. თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ მოედანზე განთავსდება ფეხბურთის კარი, კალათბურთის ფარები და მოეწყობა გარეგანათება. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომელსაც შპს "დანი ქონთრაქშენი" ახორციელებს.

,,ახალი გვნთიავლი,, იძიებს ცალიერებლო ცოცხალებს ჩვიონის ცვგეზეთო ფოტო-მასალის შეცვლმნელოვლ. მოგმართავთ თხოვნით - ლაფოვეთ თქვენი ყველა მასალა!
გამოგვიგზავნეთ ცალიერებლო ფოტოები!

ცოფილ ფერმაში ცხენოვანი ბალი შენდება

დასასრული.
დასაწყ. იხ. გვ-3.

გიორგის ეკლესიის გალავნის კედელში დატანებულია მემორიალური ქვა წარწერით: "ნუკრი ხრიკულს, საკრებულოს გამგებელს, მადლიერების ნიშნად სოფლისაგან". ასეა, საქმიანი კაცები თავიანთი საშვილიშვილო საქმეებით ცხონდებიან.

*** სოფელ ფერმაში (ჩანგილარში) საბავშვო ბაღის მშენებლობა 2023 წლის ოქტომბერში დაიწყო. იგი გათვლილია 50 აღსაზრდელისათვის (ანუ, როგორც წესი, სოფლის დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით საერთო მომცველობაში გათვალისწინებულია მაქსიმალური დატვირთვა).

მშენებლობის დამკვეთია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, შემსრულებელი – შპს "ბილდინგ ჰაუსი". მშენებლობის ხანგრძლივობის ვადა 11 თვეა. 2024 წლის 11 ივნისს ობიექტზე არსებული საერთო სურათი სასურველია და იმის მაჩვენებელი, რომ ვადა დაცული იქნება.

*** გვესაუბრება "ბილდინგ ჰაუსის" წარმომადგენელი ანა ნადირაძე (ახალგაზრდა, 26 წლის არქიტექტორი, საკმაოდ გამოცდილი მშენებელ-ინჟინერი, იმ დღეს ფერმაში სწორედ სამშენებლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა-შეთანხმების მიზნით იმყოფებოდა):

– "ბილდინგ ჰაუსი" საქართველოს მასშტაბით მოქმედებს. სულ ახლო წლებში მისმა კოლექტივმა სკოლამდელი დაწესებულებები ააშენა იმერეთის მხარეში (სულ სამი), სამეგრელოში, მესხეთ-ჯავახეთში. ქარელის შემდეგ კასპი მეორე მუნიციპალიტეტია შიდა ქართლში, სადაც საბავშვო ბაღს ვაშენებთ. სოფელ ფერმის ბაღის გაბარიტული ზომებია 25,6 მეტრი 23,7 მეტრზე. დიახ, გადაწყვეტითა და დარწმუნებით გეუბნებით: ბაღი დათქმულ ვადაში გადაეცემა! მისი საერთო ღირებულება შეადგენს 1.202.000 ლარს.

*** ახლა მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენელსა და კურატორს კასპის მუნიციპალიტეტში ლევან დემეტრაშვილს მოვუსმინოთ, რომელიც კონკრეტული მინიშნებებით გვაცნობს მშენებლობაზე შექმნილ საინვნისო სიტუაციას:

– პირველ რიგში "ბილდინგ ჰაუსის" წარმომადგენლის შეფასებას გავიმეორებ: დიახ, ფერმაში საბავშვო ბაღი დროულად ჩაბარდება.

უკვე დამთავრებულია რიგი სამუშაოებისა, მაგალითად, მოწყობილია ცენტრალური გათბობის საქვაბე, წყალგაყვანილობის შიდა და გარე ქსელი. დასრულებულია შენობის საერთო კარკასი და იგი გადახურულია. შემოღობილია საერთო ტერიტორია (ჭიშკრითა და კუტიკარით). დაგებულია ბეტონის გზა, სათამაშო მოედანი...

ამჟამად მიმდინარეობს შენობის კედლების დათბუნება ქვაბამბით და ილესება ფასადი. გრძელდება ტიხრების მოწყობა შიდა სივრცეში...

გამოსათხოვარი

ზინა გოგობერიძე

სკოლა მხოლოდ ლამაზი კედლები არ არის. სკოლა კარგი მასწავლებლებით ფასდება.

სსიპ ქ. კასპის №3 საჯარო სკოლის კედლებში ბევრი ღირსეული პედაგოგი მოღვაწეობდა, ბევრი მათგანი აღარ არის ჩვენთან.

დღეს ერთი კარგი პიროვნების გახსენება გვსურს, პიროვნებისა, რომლის ცხოვრების უმეტესმა ნაწილმა სკოლის კედლებში გაიარა.

ქალბატონი ზინა გოგობერიძე ათეული წლების მანძილზე ჩვენს სკოლაში ასწავლიდა მათემატიკას და იყო დირექტორის მოადგილე სასწავლო- აღმზრდელობით დარგში.

მთელი ცხოვრება რომ დროის ათვლისა და საზრიანად გამოთვლის სისტემაა, ნიჭიერი პედაგოგის დახმარებით ყველა მისმა მოსწავლემ იცოდა.

მადლობა ზინა მასწავლებელს გაწეული შრომისათვის!

იგი ჩვენს ხსოვნაში დარჩება, როგორც კარგი პედაგოგის, ოჯახის სიძლიერისა და სულიერად მდიდარი ადამიანის სიმბოლო.

ქ. კასპის №3 საჯარო სკოლა

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა გრძელდება

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად კასპში ვარძიის ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაო პროცესს გაეცნენ.

700 გრძივი მეტრი ქუჩის რეაბილიტაციას შპს "ქცია" ახორციელებს, რომელზეც ასფალტის საფარი არასოდეს ყოფილა.

პროექტის დასრულების შემდეგ ვარძიის ქუჩის მოსახლეობა მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერეებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი საკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76